ადის-აბება, 8 ივნისი. (საკ.ესი). ეთიოპიაში კრავლდება მიტინგები და მანიფესტაციები დროებითი სამხედრო აღმინისტრაციული საბჭოს მხარდასაჭერად. მიტინგების მონაწილენი აღშფოთებასა და გულისწყრომას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სუდანის ხელისუფალნი ამკარა პროვოკაციული მიზნით თავიანთ ჯარებს თავს უყრიან ეთიოპიის საზღვარზე. ადგილობრივ ეპრესას ეს მოვლენები მიაჩნია ქვეყნის ერთიანობისათვის აშკარა საფრთხედ, ადგილობრივ რეაქციონერთა წაქეზების ცდად.

ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობისათვის

დელი, 8 ივნისი. (საკ.ესი). ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ვაჯპაიმ უურნალისტთა წინაშე გამოსვლისას განაცხადა, რომ 15 წლის წინათ ინდოეთის პარლამენტის მიერ მიღებული ვალდებულება „ინდოეთის მიწების დაბრუნების შესახებ" ძალაში რჩება. მინისტრმა უარყო წინადადება დაეთანხმოს ჩინეთის თვალსაზრისს ამის შესახებ, თითქოს ჩინეთს ეკუთვნოდეს აქსაიჩინის ტერიტორია. ა. ვაჯპაიმ საერთოდ მხარი დაუჭირა ინდოეთ-ჩინეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას, მაგრამ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია ამ საკითხში დელის შორს გამიზნული ინიციატივები და თქვა, ინდოეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობაში ძირეული გადაუჭრელი პრობლემები არსო.

კალკუტაში გამართულ საარჩევნო მიტინგზე პრემიერ-მინისტრმა მ. დესაი იმ დღეებში განაცხადა, რომ ინდოეთმა კი არა, არამედ „ჩინეთმა უნდა გამოჩინოს ინიციატივა ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში, რადგან სწორედ ჩინელები იყვნენ აგრესორები".

ინდოეთის ორივე პელმძღვანელ მოღვაწეს მხედველობაში ჰქონდა 1962 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ამბები, როცა ჩინეთი შეეცადა ინდოეთისათვის ძალდა თავს მოეხვია თავისი წინადადება სასაზღვრო დაცვის მოწესრიგების შესახებ.

კარიკატურისტის კომენტარი

(ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ)

გ. ლომეიძის ნახატი.

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲔᲡᲠᲘᲓᲐᲜ

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **პარიზი.** მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთხელ საერთო თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების გზაზე გადადგმულია ახალი ნაბიჯი. აქ ხელი მოაწერეს კონტრაქტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და საფრანგეთის მსხვილი ფირმის „ბსნ-ეერეგე დანონის" მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

მიწისძვრა იაპონიაში

● **ტოკიო.** წუხელ ღამით 4-ბალიანი მიწისძვრა მოხდა იაპონიაში კუნძულ ჰონხიუს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა და კუნძულ ჰოკაიდოს აღმოსავლეთ ნაწილში. მისი ეპიცენტრი იმყოფებოდა წყლის ზედაპირიდან 40 კილომეტრ სიღრმეზე გაშლილ ზღვაში კუნძულ კიუსიანის (მიაგის პრეფექტურა) მახლობლად.

დაზიანების გამო, რომელიც მიწისძვრამ გამოიწვია კუნძულ ჰონსიუზე, ერთი საათით შეწყდა მატარებლების მოძრაობა. დაზიანდა კავშირგაბმულობის ხაზები.

თავყრილობა აკრძალეს

● **ვენა.** საზოგადოებრიობის ზეგავლენით შინაგან საქმეთა სამინისტრომ აკრძალა ავსტრიის ქალაქ ეიბერშვანგში 11 ივნისისათვის დანიშნული ყოფილ სს-ელთა თავყრილობა. ჰიტლერელი ვეტერანების პროვოკაციული გამოხდომების წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრეს ავსტრიის კომპარტიამ, ავსტრიის კომუნისტურმა ახალგაზრდობამ, კომუნისტ სტუდენტთა კავშირმა, ავსტრიის წინააღმდეგობის მოძრაობამ და სხვა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა.

X. კარტერის მოხსენება

ვაშინგტონი. (საკ.ესი). ამერიკის მმართველი შტატების კონგრესიდანმა X. კარტერმა თავისი ნახევარი წლის მუხსენება წარუდგინა მ. ₹. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისიას, რომელიც ამერიკაში ფაქტიურად დაკავშირებულ შენელებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით შეძმნეს.

მოხსენების შინაარსი არავითარ უეჭველ არ ტოვებს, რომ იგი შეადგინეს დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებმა, იმათ, ვისაც სურს კონფრონტაციის ასპარეზად გადაქცევის მომავალი ბელგრადის შეხვედრა.

აღიარებენ რა სიტყვით, რომ საბოლოო აქტი აგებულია ყველა მისი დებულების თანაბარი მნიშვნელობის პრინციპით, მოხსენების ავტორები არსებითად გვერდს უვლიან პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის განვითარების პრობლემებს და წინასწარი განზრახვით განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საბოლოო აქტის იმ ნაწილს, რომელიც ადამიანის უფლებებს შეეხება, ამასთან აშკარად ამახინჯებენ მის ძირითად არსს.

მოხსენებაში უხეშად დამახინჯებულია საქმის მდგომარეობა სსრ კავშირში სინდისის, რელიგიური რწმენის თავისუფლების, აგრეთვე უცხოელ ჟურნალისტთა საქმიანობის საკითხებში.

ამგვარი ცალმხრივი მიდგომის მიზეზი აშკარად ჩანს თვით მოხსენებიდან, სადაც ნათქვამია: „აზრთა ყოველმხრივი გაზიარება საბოლოო აქტის დებულებათა შესრულების შესახებ, — რა თქმა უნდა, გულდასმითი საჯარო განხილვის საგნად აქცევს ჩვენს საკუთარ მოქმედებას". ამავე დროს მოხსენების შემდგენელნი საერთოდ არ ეხებიან თვით შეერთებული შტატების მიერ ჰელსინკის შეთანხმებათა შესრულების და ადამიანის უფლებების დაცვის თემას. ამის ნაცვლად ისინი ამჯობინებენ მონაპორების თხზვას საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა ვითომდა დარღვევის შესახებ. პრეზიდენტი წინასწარი განზრახვით უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური სახელმწიფოები მტკიცედ და თანამიმდევრულად იცავენ საბოლოო აქტის ყველა პრინციპს, მათ შორის ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპს, და ამტკიცებს, რომ „ვარშავის პაქტის ქვეყნების მიერ „მესამე კალათის" დებულებათა საერთო შესრულება მნიშვნელოვნად ჩამორჩენოდა საბოლოო აქტის მიზნების შესრულებას". შემდეგ ჯ. კარტერი აცხადებს, თითქოს შეერთებული შტატები საერთოდ „ჩინებულად ასრულებდეს" ამ დებულებებს. პრეზიდენტმა ამჯობინა არაფერი ეთქვა ასობით პოლიტიკურ პატიმარზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, იმაზე, რომ მის საკუთარ ქვეყანაში სხვადასხვა ეროვნებისა და კანის ფერის მილიონობით ამერიკელი მოკლებულია ადამიანის ძირითად უფლებებს და უწინარეს ყოვლისა, შრომის უფლებას, იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში დეკლარირებული ბევრი მოქალაქეობრივი თავისუფლება მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, რომ თვალთვალი და მიყურადება ყოველდღიური პრაქტიკა გახდა, და ბევრ სხვა რაზეზე...

ამავე დროს ერთ მუჭა ნაძირალებს, რომლებიც სოციალისტურ ქვეყნებში ამხილეს, როგორც ამერიკის დაზვერვის სამსახურთა აგენტურა და ხელმძღვანელობა და რომლებმაც თავიანთი თავი დაუპირისპირეს სოციალისტურ საზოგადოებას, მოხსენება უზღიდს „ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლებს".

პრეზიდენტი იმოწმებს ნატოს სახელმწიფოთა პოზიციას და აცხადებს თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას ვარშავის ხელშეკრულების წევრი ქვეყნების ინიციატივისადმი, რომლებმაც შეიტანეს წინადადება, რომ სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტს, დადონ შეთანხმება იმის შესახებ, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ პირველი არ გამოიყენებენ ატომურ იარაღს,

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, აცხადებს პრეზიდენტი, „კვლავ მკაფიოდ გამოვლინდა განსხვავება საბოლოო აქტის ინტერპრეტაციაში". თავისთავად ცხადია, რომ ასეთი განსხვავება არ იქნებოდა, თეთრ სახლში რომ გულწრფელად დაესახათ საბოლოო აქტის ყველა დებულების კეთილსინდისიერი შესრულების მიზანი და არა აშკარად გამოთხარათ ძირი ჰელსინკის შეთანხმებებისათვის.

პრეზიდენტის მოხსენების დასკვნითი ნაწილი შეიცავს მტკიცებას: „ამერიკის შეერთებული შტატები არ ესწრაფვის იმას, რომ ბუდაპეშტის შეხვედრა გადაიქცეს ერომანგოისათვის ბრალდების წაყენებად და პოლემიკად". მაგრამ თვით მოხსენების შინაარსი ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებს ნამდვილად აქვთ განზრახვები, რომლებიც არ შეესაბამება ამ დაპირებებს.

9 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

„პრავდის" ფურცლებზე

„პბტრიოტული ხიამაყის გრძნობით ალიქვეს ჩვენი საშობლოს მშრომელებმა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ძირითადად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა და საყოველთაოსახალხო განხილვისთვის გამოიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, — წერს გაზეთი „ეოვიეტ". ეს ფაქტი მოწმანავ წერილში „სოციალისტური დემოკრატიის განვითარების გზით" — მთელ ქვეყანაში კონსტიტუციის განხილვა დაიწყო მასების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ატმოსფეროში. მან მძლავრი აღმავლობა გამოიწვია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, იქცა მილიონთა თაოსნობებისა და შემოქმედების ახალ სტიმულად".

გაზეთი აქვიანებს „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის გვერდს" საერთო სათაურით „ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი". მოსკოველმა კომუნისტებმა ერთსულოვანად, ენთუზიაზმით, საქმიანად მოიწონეს და განიხილეს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი ოდიბაქალაქის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე; საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახზე, ოქტომბრით შობილ დიად მეგობრობაზე საუბრობს ალიმ ქეშოკოვი წერილში „დიდი ძმობა" (რუბრიკა „ურღვევი კავშირი"); თავიანთ მოსაზრებებს, წინადადებებს აყენებენ ეთოლოგიის სელის კომბინატის მჭსოფელი ტ. კოპინა, ერევნის ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. დავთიანი; გამოქვეყნებულია პრესის მიმოხილვა, რეპორტაჟი სოციოლოგიურ კომენტარით და სხვა მასალები.

„ქვეყნის მოწამოიქმედთა თვის არ არის ალოობაზე უფრო დაძაბული ხამუშაო. ამ გახურებულ ფაქს მათი დრო ნამდვილად წუთებით ეზომება. დე მოწინავეთა მოწოდება — „არც ერთი საათით მოცდენა, არც ერთი ვრამი დანაკარგი!" — მეჭანიზატორთა საბრძოლო დევიზად იქცეს" — ნათქვამია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის მიმოხილვაში „ჟამ დაიწყო", სადაც არის ცნობა იმის შესახებაც, რომ ასობით კომბაინი გაეგზავნა უკვე უზბეკეთის, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, საქართველოს ყანებში,

მეთხვლელები ნომერში გაეცნობიან ავრეთვე სპეციალური კორესპონდენტის ვ. კოფეშიაკის წერილს კოსტრომის ოლქიდან პარტიის რაიკომების აიტორიტეტის თაობაზე; მასალას იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგების შესახებ „პრავდაში" გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების შემდეგ და ა. შ.

ნომერში წარმოდგენილია საზღვარგარეთისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამსახველი მასალების მრავალფეროვანი თემატიკა.

ПРАВДА

ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ

ᲑᲐᲡᲙᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ᲑᲐᲡᲙᲔᲑᲘᲡ შუა რიცხვებში ბასკების ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში ავლა ოფეთქდა ცრემლსადენებიანი ბომბები, გაისმოდა საპოლიციო მანქანების სირენის წუოლი და დემონსტრანტები აღშფოთებული შეძახილები. ესპანეთის ამ რაიონში შექმნილმა ვითარებამ შეაშფოთა ადოლფო სუარესის მთავრობა. შეგახსენებთ თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები.

ბასკონიის თხუთმეტი დემოკრატიული ორგანიზაციის ინიციატივით ბევრ პროვინციაში გაიმართა პოლიტპატიმართა საყოველთაო ამნისტიისათვის „ბრძოლის დღე". სახალხო პროკურატორ ტალლამ მოიცვა ბილბაო, პამპლონა, სან-სებასტიანი და ქვეყნის ჩრდილოეთის ბევრი სხვა ქალაქი. ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში და მოედნებზე გამოვიდნენ მუშები, გლეხები, ინტელიგენციანი და უნივერსიტეტების სტუდენტები, რომლებიც მოითხოვდნენ საპყრობილეებიდან ყველა პოლიტპატიმრის განთავისუფლებას. მეორე დღესვე მთელი ბასკონია საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ალში გაეხვია. რეზოლუციაში, რომელიც სანსებასტიანში გამართულ გაპესკოას პროვინციის მშრომელთა მრავალათასიან მიტინგზე მიიღეს, აღნიშნული იყო, რომ საპარლამენტო არჩევნები (იგი დანიშნულია 15 ივნისს) არ უნდა ჩაიმართოს მანამ, სანამ დილეგებში თუნდაც ერთი პოლიტპატიმარი იქნება.

ბასკონიის „შრომელთა აღშფოთების ხმამ ადგილობრივი მთავრობის მოხელეთა აბნეულობის მაგალითი კარებში შეაღწია. ხალხის მასების ზეგავლენით პოლიტპატიმრებს განთავისუფლება მოითხოვეს ბასკონიის ქალაქების ადვოკატებმაც (მერებმა). მათ შექმნეს სპეციალური კომისია, რომელიც ესპანეთის მთავრობის მეთაურს ადოლფო სუარესს შეხვდა და ყველა პოლიტპატიმრის დაუყოვნებლივი გათავისუფლების შესახებ პეტიცია გადასცა.

ბასკი ხალხის გამოსვლას პოლიციამ რეპრესიებით უპასუხა. საპროტესტო მარშის მონაწილეთა წინააღმდეგ „გამოყენეს რეზინის ტყვიები, ცრემლმოსადენ-გაზიანი ბომბები, ხელკეტები და სპეციალურად დაწვრთნილი ძაღლები, რის შედეგადაც დაიხოცა ხუთი დემონსტრანტი და ათზე მეტი მძიმედ დაიჭრა.

პოლიციის ტერორისტული თარეშით ისარგებლეს მემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაციების შეიარაღებულმა ბანდებმა. მათ ბილბაოსა და ბამპლონაში პროვოკაციულად სისხლიანი ინციდენტები შექმნეს, სასტიკად დალახვეს მშვიდობიანი მსვლელობის ათობით მონაწილე, ხოლო სან-სებასტიანში, სადაც მანიფესტანტებმა ბარიკადები აღმართეს, ტყვია დაუშინეს დემოკრატიული ოპოზიციის თავლსაჩინო მოღვაწეს ხავიერი პეტეხოს სახლს.

ხუთი დემონსტრანტის დაზოცვამ, პოლიციისა და ექსტრემისტთა დაუსჯელმა თვითნებობამ საბართლიანად აღაშფოთა მთელი პროგრესული ესპანეთი. კომუნისტურმა პარტიამ გადაჭრით დაგმო რეპრესიების პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება ბასკეთის ქვეყანაში ახორციელებს. ამასთან კომუნისტებმა ბასკონიის მეცხოვრეებს მეცხოვრებლები გააფრთხილეს, რომ თეზიზელი იყვნენ და საბაბი არ მისცენ რეაქციის ახალი პროვოკაციებისათვის, რომლებიც საორხოს შეიქმნდა დემოკრატიზაციის პროცესს, ოფიციალურ ყოველისა, საპარლამენტო არჩევნების ამაღრთვას.

ამის შიშით, რომ ბასკონიის ამბები ბიძგს მისცემდა მთელი ესპანეთი ხალხის მასობრივ გამოსვლებს და მთავრობის კრიტიკის საბაბი გახდებოდა, ესპანეთის მინისტრთა კაბინეტმა 21 მაისს საგანგებო სხდომა გამართა. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: მდგომარეობა ბასკების ქვე

მეგობრობის მერიდიანებით

წლეულს, აპრილის შუა რიცხვებში, აფხაზეთში მიმდინარეობდა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, რომლებიც საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალური მეგობრობის ნათელ ზეიმად იქცა და ხელი შეუწყო ორ-ძმე საბჭოთა ხალხებს შორის შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცებას.

ამჯერად აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ზეიმის ჩასატარებლად ყარაჩაი-ჩერქეზეთში იმყოფება აფხაზეთის ასსრ დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან მომღერლები და მოცეკვავეები, მწერლები და პოეტები. მხატვრები და მუსიკოსები... დელეგაციას ხელმძღვანელობენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მარშანია და საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვლ. ავიძბა.

ყარაჩაი-ჩერქეზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან გაიგზავნა აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, ახალგაზრდული ანსამბლი „შარატინი“, აფხაზეთის სიმფონიური ორკესტრი და საგუნდო კაპელა, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „რიწა“, „ერცახუ“ და სხვ. აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები ყარაჩაი-ჩერქეზეთში ერთ კვირას გასტანს.

ი. გოგბეჩია.
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

სურათზე: ფოთის გემთშემკეთებელ ქარხანაში წყალში ჩასაშვებად მზადდება ახალი „კომეტა“.

ს. კილაძის ფოტო.

ექიმთა ბრიგადა სოფლად

ონი. (ხაკ. კორ). რაიონული საავადმყოფოს კოლექტივი საშეფო დახმარებას უწევს მაღალმთიან ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას. ამ დღეებში ექიმთა ბრიგადა საკაოს ეწვია და სამედიცინო მომსახურება გაუწია რაიონულ ცენტრს დაშორებულ მოსახლეობას. კვალიფიციურმა ექიმებმა შეამოწმეს სოფლის ახალგაზრდების ჯანმრთელობა, ადგილზე მიიღეს ავადმყოფები და მათ სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

ექიმები ნ. ნიქაბაძე, თ. რეხვიაშვილი, დ. ლობჟანიძე, ჯ. ხარებაშვილი სოფლის მშრომელებს ესაუბრნენ თანამედროვე მედიცინის აქტუალურ პრობლემებზე.

კვლავ მშრომელთა სამსახურში

ადიგენი. კარგი საჩუქარი მიიღეს სოფელ უდის მშრომელებმა. რეკონსტრუქციის შემდეგ მწყობრში ჩადგა 50-საწოლიანი საუბნო საავადმყოფო.

შენებლობაში ენერგიულად მონაწილეობდა საავადმყოფოს (მთავარი ექიმი მ. ბასილაია) მთელი კოლექტივი.

ბ. პარუნაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲞᲝᲥᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ და მდიდარია მსოფლიო საჭადრაკო ლიტერატურა, მაგრამ ამ გრანდიოზულ ბიბლიოთეკაში, სადაც დღეს 8000-ზე მეტი ტომია თავმოყრილი, საპატიო და განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს **ნ. გაფრინდაშვილის** წიგნმა **„არსი ჩემი ცხოვრებისა“**, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 30.000-იანი ტირაჟით დასტამბა.

იგი საკავშირო გამომცემლობის დაკვეთით დაიწერა რუსულად და ქართველმა მკითხველმა თარგმანის სახით მიიღო. მსოფლიო ჩემპიონის ლიტერატურულ წარმატებაში უდავო წვლილი აქვთ შეტანილი ცნობილ მოსკოველ ჟურნალისტს ვიქტორ **ვასილიევს** და **ნინო მამისაშვილს.** პირველი ლიტერატურული ჩანაწერის ავტორია, ხოლო მეორე — მთარგმნელი.

თითქოსდა, ძნელია ახალი რამ შეიტყოს ჩვენმა მკითხველმა ნონას შესახებ. მისი ყოველი შთამბეჭდავი გამარჯვება ან გამოსვლა სპორტულ სარბიელზე დროულად არის ფიქსირებული სპეციალურ გამოცემებში, სტატიებსა და ინტერვიუებში. მაგრამ ერთია, როცა შენ შესახებ წერენ და მეორე, როდესაც თვითონ გიჩნდება მკითხველთან გულახდილი საუბრის სურვილი, საუბრისა, რომელსაც ყოველთვის მოუთმენლად ელოდა ჭადრაკის და პირადად შენი უამრავი თაყვანისმცემელი.

და, რაოდენ ძნელი, მაგრამ ამავე დროს დიდი ღირსების მაჩვენებელია, როცა ავტორი ამ საუბარს ისეთნაირად წარმართავს, რომ შორს არის როგორც თავმდაბლობის ყალბი პოზისაგან, ისე თავის ქებისაგან. ამასთან ამომწურავი, გულწრფელი მონოლოგი პიროვნებისა, რომელიც თავისი სპორტულ-შემოქმედებითი ძალების აფფურჩქნილ ხანაშია და დღეს მისი ყოველი სიტყვა „ძეროვას ინფორმაციას“ წარმოადგენს მეტოქეებისათვის, დიდი სტრატეგიული რისკია და მსგავს მაგალითს ჭადრაკის სამყარო არ იცნობს.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი! ამ სამი მაგიური სიტყვის ფონზე მეტად შთამბეჭდავი სიუჟეტი შეიძლება შექმნილიყო. მაგრამ „არსი ჩემი ცხოვრებისა“ მიზნად არ ისახავს სპორტული ბიოგრაფიის ამ სანუკვარი საფეხურების თანმიმდევრულ აღწერას. ფფიქრობთ, მის ეპიგრაფად შეიძლებდა ყოფილიყო ალექსანდრე ალიოხინის შემდეგი სიტყვები: **„წარმატებისათვის აუცილებლად ვთვლი სამ ფაქტორს: ჯერ ერთი, საკუთარი ძალისა და სიხუსტის გაგებას; მეორეც, მეტოქის ძალისა და სიხუსტის ზუსტ გააზრებას; მესამეც, უფრო მაღალ მიზანს, ვიდრე ეს არის წუთიერი კმაყოფილება. ამ მიზანს ვხედავ მეცნიერულ და მხატვრულ მიღწევებში, რომლებიც ჭადრაკის თამაშს სხვა ხელოვნებათა რიგში აყენებს“.**

ნ. გაფრინდაშვილი თვითშეცნობის ამ პრინციპებს უთუოდ ითვალისწინებდა და იყენებდა გამარჯვებების გზაზე. და, ბუნებრივია, ისინი კარგად მეღავნდება წიგნშიც.

მხედველობაში გვაქვს აღრინდელ და თანამედროვე მეტოქეთა მოხდენილი და ზუსტი დახასიათებები, რომლებიც მოცემულია ქალთა ჭადრაკის ისტორიული ანალიზის ფონზე, მკითხველი არ შეიძლება არ გაიტაცოს ნონას სიყვარულმა და პროფესიულმა მიდგომამ ჭადრაკისადმი, რომელიც ვითარდებოდა როგორც საკუთარი ძიების, ისე მწვრთნელებთან — რომანტაიოს ვახტანგ ქარსელაძესთან, რაციონალისტ მიხეილ



წიგნის თარო

ᲔᲞᲝᲥᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

„ᲐᲠᲡᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ“

ერეოდტ ინვარ გიპსლისთან შემოქმედებითი ურთიერთობის პირობებში. და, ბოლოს, ის ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტი, რომელიც გვხიბლავს გულწრფელობით, ბავშვობიდანვე თანდაყოლილი და შემდგომ, დიდ სარბიელზე გამობრძმედილი ცხოვრებისეული სიბრძნით.

ეს ჭკვიანური ინტელიგენტური წიგნი, რომელსაც მრავლად აქვს პედაგოგიური ღირსებები, მოჭადრაკის თვითანალიზის შესანიშნავი მაგალითია საჭადრაკო ლიტერატურაში, მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული არ არის მეტად თვალსაჩინო და ხელშემწყობი საშუალება — საჭადრაკო პარტიები.

ამ დიაგრამაზე აღბეჭდილი კულმინაციური პოზიცია იუგოსლავიის კურორტ ვრნიაჩკა-ბანიას 1961 წლის პრეტენდენტთა ტურნირზე გათამაშებულ ლაზარევიჩ-გაფრინდაშვილის პარტიაში შეიქმნა. სვლა შავებისაა და ნონამ ბლიწკზე დაწერა მოფიქრებული 27... ლ:f3, შემდეგ ხელიც კი გასწია მხედრის ასაყვანად, მაგრამ, როგორც თვითონ გვიამბობს წიგნში, რაღაცამ აიძულა კიდევ ერთხელ მოეფიქრებინა ნაბიჯი, რომელიც საბედისწერო უნდა გამხდარიყო მეტოქისათვის... ან მისთვის და აი, მან დაინახა ლამაზი ტაქტიკური დარტყმა, რომელიც მხედრის აყვანის შემთხვევაში ჩაფიქრებული ჰქონდა ლაზარევიჩს: 28. ე: c8+ მფg7 29. ეg8+ მფh5 30. ე:g6+! მოგებით. მდგომარეობა თითქოს გამოუვალი იყო, მაგრამ ნონამ ამ უაღრესად დამუხტულ ვითარებაში მეფის ევაკუაციის პარადოქსულ და სასარგებო გეგმას მიაგნო. თამაში შემდეგნაირად წარიმართა: 27... მფg7! 28. ლ:a7+ მf5! 29. ლa3 მეh5! საშამათოდ განწირული შაი მეფე სამ სვლაში თვითონ იქცა შემტე ძალად! 30. ე:e1 ლf2 31. ლd3 ,a6! 32. ლd1 მe3 33. ე:e3 ,f1+ თეთრები დანებდნენ.

ამ „ცხოვრების პარტიის“ მოგებამ ღირსშესანიშნავი როლი შეასრულა ნ. გაფრინდაშვილის საჭადრაკო კარიერაში. დამარცხდა არა მარტო კონკურენტი, არამედ საჭადრაკო სამყარომ ერთხმად აღიარა დიდი ტალანტი, რომელიც შეუპოვრად იწყებდა ქალთა ჭადრაკზე ჩვეული წარმოდგენების მაბრკვევას.

მართლაც, მომდევნო წლები ნონას ბიოგრაფიაში, ეს არის არა მარტო ჭადრაკის დედოფლობის ხანგრძლივი პერიოდი, არამედ ენერგიული და უკომპრომისო ბრძოლა მამაკაცებთან ქალთა ჭადრაკის პრესტიჟისათვის, ბრძოლა, რომელმაც ადრე არნახული წარმატება მოუტანა ქალთა ჭადრაკს საერთოდ და კერძოდ, საქართველოში. და მხოლოდ ლამაზი ფრაზის შეთხზვის სურვილმა როდი ათქმევინა მის ბოლო მეტოქეს **ნანა ალექსანდრიას** შემდეგი სიტყვები: **„ნონა მთელი ეპოქაა ჭადრაკში“.**

ბეშმარიტად, იგი ეპოქაა, მაგრამ ეპოქა, რომელიც გრძელდება.

წიგნში შემდეგ მახვილგონიერულ აზრს ვკითხულობთ: **„ამბობენ, ქალი იმდენი წლისაა, რამდენის შესახედაობაც აქვსო. მოჭადრაკე კი მანამდე არის ახალგაზრდა, სანამ არ დაიწყებს რისკისთვის გვერდის ავლას“.** ხოლო ნონა გაფრინდაშვილის რაინდულ სულს, თამაშის თავისებურ მანერას და დიდ საჭადრაკო ძალას ყოველთვის — უწინდა დღესაც, თან სდევს საბრძოლო დევიზი — **„რისკს ვამჯობინებ!“.**

ვ. ნეიძე.

ᲙᲠᲘᲖᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲘᲡ 144-Ე ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ

ᲨᲕᲘᲚ ივნისს ქალაქის თავზე ავდარი იყო და მოსკოვიდან მომავალი უკანასკნელი თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში მზოლოდ გამთენიისას დაჯდა. ამ რეისით დაბრუნდა შინ ახალი ევროპის ჩემპიონი, ქვეყმძიე წონის მოკრივე დავით კვაჭაძე. აეროპორტში მას უფროსი ძმა და მწვრთნელი როლანდი დახვდა. დილის 10 საათზე კი დავით კვაჭაძე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული უკვე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრთა წინაშე წარსდგა. გამომცდელებმა მეცოდნეობა ფიზიოლოგიაში „4“-იანზე შეაფასეს.

შემდეგ გაიმართა შეხვედრა ინსტიტუტის რექტორთან ა. მელიასთან. პირველ ქართველ მოკრივეს, რომელმაც საერთო ანგარიშით 143 ბრძოლა (აქედან 133-ში გაიმარჯვა) და ევროპის უმაღლესი ტიტული მოიპოვა, ამჯერად კითხვების მთელი სერია „დააყარეს“.

— **დავით, ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ (შეიძლება, ფინალური ორთაბრძოლის გამოკლებით) გამარჯვება თქვენ არ გაგჭირვებიათ. მართლა ასე იყო?**

— მართალი მოგახსენოთ, ამ ტურნირისათვის საგულდაგულოდ ვემზადებოდი. მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ჩემი პირველი მეტოქე — ლუქსემბურგელი მოკრივე აშკარად არ იყო მომზადებული ასეთი პასუხსაგები შეჯახებისათვის.

— **და მაინც, მან ხომ სამივე რაუნდს გაგიძლოთ?**

—როგორც მოკრივეები ამბობენ, მისი დაგდება პირველივე რაუნდში შემეძლო, მაგრამ ვერ გავიმეტე. აშკარად ვხედავდი, რაგორ ,ეუბნავდა თავალს ლუქსემბურგელი, როცა მატყობდა, რომ იერიშს ვიწყებდი, და მეც აღარ ვისარგებლე მეტოქის სისუსტით — ეს ხომ სისასტიკე იქნებოდა.

— **ტელევიზიით ყურებისას ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს ფინალურ ბრძოლაში უღალატეთ საკუთარი ბრძოლის მანერას...**

— ძნელ მდგომარეობაში ვიყავი. ალბათ დამეთანხმებით, — ევროპის ჩემპიონატის ფინალში პირველად გავედი და არაფრის დიდებით არ მინდოდა წაგება. მწვრთნელები სულ იმას მეუბნებოდნენ, ძალისმიერი მანერით იბრძოლეო, რაც ჩემთვის უცნობია. ჩემი მეტოქე ფინალში ზაქსი გამოცდილი მოკრივეა, ევროპის პირველობის არაერთგზის პრიზორია, თანაც იმ ქალაქის — ჰალეს მკვიდრია, სადაც ჩემპიონატი მოეწყო. და მსაჯები წესებს უმცირესი დარღვევის დროსაც ერთსაც გაფრთხილებას მაძლევდნენ. ასე რომ, ალბათ, გამიგებთ...

— **თქვენი აზრით, ვინ გამოიჩინა ყველაზე უკეთ თავი ამ ტურნირში?**

— რა თქმა უნდა, ლეონიდ შაპოშნიკოვმა. მან ხომ მთელი ტურნირი ნატკენი მარცხენა ხელით ჩაატარა, არადა შაპოშნიკოვი ცაცია, მაგრამ მაინც გაიმარჯვა და ჩემპიონობა მოიპოვა. საუკეთესო მოკრივედ კი მოსკოველი ვიქტორ რიბაკოვი აღიარეს.

— **დავით, თქვენ სადაცაა დიპლომიანი სპეციალისტი გახდებით. შეგიძლიათ თქვათ, რომ ინსტიტუტში გატარებული წლები დაგეხმარათ სპორტსმენად ჩამოყალიბებულიყავით?**

— ამ ინსტიტუტში პირველად გამოცდები 1968 წელს ჩავაბარე, მაგრამ წარუმატებლად. 1972 წელს, ჯარიდან დემობილიზაციის შემდეგ უკვე გავუძელი საკონკურსო გამოცდებს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ჩემი უმაღლესი ფიზკულტურული განათლება არ ყოფილა შემთხვევითი არჩევანი. ხოლო, თუ უფრო კონკრეტულად განვმარტავ, მაშინ მეც მოგცემთ ერთ კითხვას: რა აქვს საერთო ფილოსოფიას და კრივს?... გიძნელდებათ პასუხი, არა? მაშინ, მე ვეტყვით. ასაკში რომ შევდგართო, ახალ-ახალ ცხოვრებისეულ სიტუაციებს რომ ვაწყდებით, ჩვენ სულ უფრო ხშირად ვეძებთ პასუხს ჩვენთვის გაუგებარ კითხვებზე. ჯერჯერობით კი ზუსტი პასუხი ვერ გიპოვია — გაკლია საკუთარი თავის რწმენა, ძნელად უახლოვდები ადამიანებს, ავი კაცგად გეჩვენება და კარგი — ავად. ისეთი მეცნიერებანი კი, როგორიცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, გეხმარებიან ბევრ რაჟეს სხვა თვალით შეხედო. ანდა, ეთქვათ ფიზიოლოგია. ერთხანს სისხლში რაღაც ცვლილება მქონდა. მიზეზი არ ვიცოდი და სულ იმას ვფიქრობდი, რაღაც სენმა ხომ არ შემიპყროო. მერე კი ფიზიოლოგიის შესწავლა რომ დავიწყე, ყველფერი თავის ადგილზე დადგა: გავიგე, რომ სისხლის შედგენილობის ცვლილებაზე თურმე გავლენას ახდენს ფიზიკური დატვირთვა.

— **როგორ გგონიათ, თქვენ უკვე გამოუნახეთ პასუხი ყველა კითხვას?**

— ერთ კითხვას პასუხს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე გავეცემ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე პირველად მოეწყობა მომავალი წლის თებერვალში თბილისში. მეორეზე შეეეცდები ვეპასუხო ბელგრადის მსოფლიოს ჩემპიონატზე. ისე კი, მართალი გითხრათ, ათასი „რატომ“ არის, რომლებიც სთვისაც ჯერ ვერ მომინახავს პასუხი.

ი. გორელოვი,
ხაქინფორმის კორ.

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲐᲮᲛᲘᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 9 ივნისი. (საკდსი). მოიგო რა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის პირველი დამატებითი პარტია ლემაჩკოსთან, ახმილოვსკაია დაწინაურდა — ანგარიშია 6:5 მის სასარგებლოდ.

მეორე დამატებითი პარტია დანიშნულია 10 ივნისს.

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ 1-ᲚᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ფიდე-ს სამდივნომ ამსტერდამში გამოაცხადა, პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები ეკეთა შორის იწყება 1 ივლისს. ᲩᲐᲡᲙᲘ (საბჭოთა კავშირი) და პორტიში (უნგრეთი) ითამაშებენ ერთ ნახევარში (შეეცადარა), პოლუგაევსკი (საბჭოთა კავშირი) და კორჩნოი — ეკეიწში (საფრანგეთი).

ნახევარფინალური მატჩები შედგება 16 პარტიისაგან. თუ რომელიმე მხარე მოაგროვებს 8,5 ქულას, დარჩენილი შეხვედრები აღარ გაიმართება. იმ შემთხვევაში, თუ აღინიშნება ანგარიში 8:8, მეტოქეები ითამაშებენ დამატებით მიკრო-მატჩებს (ორ-ორი პარტიისაგან) მანამდე, სანამ ერთ-ერთი მხარე არ გაიმარჯვებს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲣᲚᲘ ᲥᲣᲚᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. თბილისის „დინამო“ მასპინძლობდა ოდესის „ჩერნომორეცს“.

პირველი ტაიმი თბილისელებმა მოიგეს ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს ყიფიანმა (2) და ჩელებაძემ.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა მეტად სუსტად ჩაატარეს და საშოალება მისცეს სტუმრებს სამივე ბურთი გაექვითათ.

დინამოელები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: გოგია, ხიზანიშვილი, კოსტავა, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (ჩივაძე), ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია (ცოცალიანელი).

ᲒᲣᲨᲘᲜ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის კიდევ ექვსი შეხვედრა. მოგვაყავს მათი შედეგები:

„დინამო“ მ.-„ᲖᲔᲜᲘᲗᲘ“ — 0:0
„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“-„ᲖᲐᲠᲘᲐ“ — 2:0
„ᲙᲐᲘᲠᲐᲗᲘ“-„ᲙᲐᲠᲐᲒᲐᲜᲓᲘ“ — 1:1
„ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ“-„ᲜᲔᲤᲢᲩᲘ“ — 1:0
„ᲓᲜᲔᲞᲠ“-„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“—0:0
„ᲙᲐᲠ. ᲡᲝᲕᲔᲢᲝᲗ“-ᲪᲮᲘᲐ — 0:0

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲒᲗ ბოლო, მეცამეტე ტურის შედეგებს: „ᲙᲣᲜᲑᲐᲡᲘ“ — „ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘ“ — 1:0; „ᲣᲠᲐᲚᲛᲐᲨᲘ“ — „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ ორჯ. — 2:1; „ᲖᲕᲘᲐᲓᲐ“ — სკა — 0:0; „ᲞᲝᲜᲘᲜᲘ“ — „ᲢᲐᲕᲠᲘᲐ“ — 0:0; „ᲡᲐᲮᲢᲐᲙᲝᲠᲘ“ — „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ ი.-ფ. — 2:0; „ᲡᲐᲛᲐᲠᲘ“ — „ᲮᲝᲚᲢᲠᲘ“ — 1:1; „ᲙᲝᲚᲮᲝᲩᲮᲘ“ — „ᲛᲘᲪᲐᲚᲣᲠᲒᲝ“ — 0:0; „ᲨᲘᲜᲐᲙᲘ“ — „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ მ. — 0:1; „ᲓᲜᲔᲞᲠ“ ლ. — „ᲓᲜᲔᲞᲠ“ მნ. — 0:2.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ. ჰელსინკში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატწში (ევროპის მეორე ჯგუფი) იტალიის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 (1:0) მოუგო ფინეთის გუნდს, ხოლო სტოკჰოლმში მეექვსე ჯგუფის მატჩი შვეიცარიამ და შვეიცარიის ნაკრებთა შორის დამთავრდა შვედების გამარჯვებით — 2:1 (0:0).

მსოფლიოს ჩემპიონი გფრ-ის ნაკრები ამსანაგურ ტურნეს მართავს სამხრეთ ამერიკაში. არგენტინის გუნდთან გამარჯვების შემდეგ (3:1), მან მონტევიდეოში მოუგო ურუგვაის ნაკრებსაც — 2:0. დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები შეხვდებიან აგრეთვე ბრაზილიისა და მექსიკის გუნდებს.

რიო-დე-ჟანეიროში ინგლისისა და ბრაზილიის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲛᲐᲜᲯ�გᲐᲚᲐᲫᲔ

გარდაიცვალა პროფესორი, ექიმი მედიცინის თეორიულ-საბუნებისმეტყველო წარმომადგენელი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნ. ი. მაჩვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიათა დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ჰიგიენისტთა საზოგადოების თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სკკპ წევრი 1953 წლიდან, რევაზ ნიკოლოზის ძე მანჯგალაძე.

1954-62 წლებში იგი მუშაობდა რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტში ინსპექტორად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ, ხოლო 1962 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ხელმძღვანელობდა შრომის ჰიგიენისა და პროფესიათა დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს.

1963 წელს რ. მანჯგალაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1969 წელს — სადოქტორო დისერტაცია. იგი 60-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია.

წლების მანძილზე იგი იყო საკავშირო-საპრობლემო კომისიის — „შრომის ჰიგიენისა და პროფესიათა მეცნიერული საფუძვლების“ წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის საუწყებათაშორისო სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმის წევრი და სოციალისტიკვლევის კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი, რესპუბლიკის ჰიგიენისტთა საზოგადოების თავმჯდომარე.

პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს რ. მანჯგალაძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით, არაერთხელ ყოფილა არჩეული ქალაქისა და რაიონული საბჭოების დეპუტატად.

ჯანმრთელობის დაცვის კარგი ორგანიზატორის რ. მანჯგალაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; საქართველოს სსრ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; რესპუბლიკის ჰიგიენისტთა საზოგადოება; შრომის ჰიგიენისა და პროფესიათა დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; საქართველოსა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲝ�პᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1977-1978 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲔᲠᲛᲔ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

ტექნიკუმი ამზადებს: ტექნიკოს-ტბოგრაფებს და საინჟინრო გეოდეზიის ტექნიკოსებს სპეციალიზირებულ და საინჟინრო-კვლევითი ორგანიზაციებისათვის.

სწავლის ვადაა 2-წელი და 9-თვე. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.

განცხადებების მიღება 1 ივნისიდან 14 აგვისტომდე.

ტექნიკუმის სპეციფიკის შესაბამისად გამოცდებამდე ჩატარდება გასაუბრება რუსულ ენაში, ენის პრაქტიკული ცოდნის შემოწმების მიზნით **მისაღები გამოცდები ჩატარდება 1 აგვისტოდან 22 აგვისტომდე.** მიღების პირობები ერთნაირია ყველა ტექნიკუმისათვის. სწავლა დაიწყებმა 1 ოქტომბრიდან.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, ილ. ჭავჭავაძის პრსპ. № 25. ტელეფონი: 22-30-33, 22-60-03.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ.

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲙᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 14 ივნისს დღის 11 საათზე მოწვეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების ღია სხდომა, რომელზეც საჯაროდ იქნება განხილული გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსის **პეტრე მელიქიშვილის სახელობის 1977 წლის პრემიის მოსაკოვებლად** წარმოდგენილი რ. აგლაძის მ. გრძელიშვილის, ნ. ჰოუმანისა და გ. დომანსკაიას შრომების ციკლი მანგანუმისა და მანგანუმის დამჟანგველების მიღების საკითხებზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ განხილვაში.

სხდომა გაიმართება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში, მისამართი: ძერჟინსკის ქ. № 8, მესამე სართული.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — ტელესტუდია „ორლოვნოეის“ საკონცერტო დარბაზი. (ფერადი. მოსკოვიდან), 11.15— — დოკუმენტური ფილმი „მოხოლოგი პუშკინზე“, 12.05 — მხატვრული ფილმი „გაქურდვა“. II სერია, 17.00 — „ᲣᲛᲐᲮᲡᲘᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ — ქიმია, 17.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „კიკინებიანი სასწაული“ (ფერადი), 19.00 — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი „შრომა და დასვენება“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „საესტრადო პანორამა“ (ფერადი), 21.00 — „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ“ — 1949 წელი“ (ფერადი, მოსკოვიდან), 22.00 — „ᲕᲠᲛᲐ“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი). II ტაიმი (ფერადი. მოსკოვიდან), 23.15 — ახალი ამბები.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — სტუდენტთათვის — მეკანიზმებისა და მანქანების თეორია, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამოცდა“, 19.35 — დოკუმენტური ფილმი „დაუჯერებელი სამართლე“ (ფერადი), 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „უნგრეთის ვაკეზე“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

(მოსკოვიდან), 08.32 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.15 — რუსული ბალიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს ალიონი“, 10.00 — ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ (მოსკოვიდან) 11.20 — მსუბუქი მუსიკა, 12.00 — „დეპუტატობის კანდიდატები“, 12.15 — „თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი 50 წლისაა“ (გადაცემა მეორე), 13.15 — ნ. გუდიაშვილი. საფორტეპიანო კონცერტი „ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ“, 13.30 — გაზეთ „ᲠᲐᲖᲓᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲡᲢᲐᲪᲘᲐ“, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — ა. ჩეხოვი